

# სატატლია

ავ. გეგმა

საქართვოს კუნძული  
მართლი კუთხი

“ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობია”  
ამ დალოცვილს ანდაზას რამდენი უხეირო კაცი ხეირიანად  
გამოყავს და გამოუყვანია. მეც იმათებრ..“.

(ი.ჭავჭავაძე, თხზ., ტ. 2. გვ. 131)

თბილისი  
2011

ნიგნში ქვესათაურებად გამოყენებულია ავტორისეული  
(დავით გენაძის) ხელნაწერის ფრაგმენტები.

© მერაბ გენაძე

ISBN 978-9941-0-3908-9

## მგირფასო მკითხველო!

ნარკვევი, რომელიც ახლა შენ მაგიდაზე გიდევს, დაწერილია რამდენიმე ათეული წლის წინათ, დაწერილია კაცის მიერ, რომლისთვისაც სამშობლო ქვევნის სიუვარული ცხოვრების აზრს წარმოადგენდა.

თვალსაჩინო ენათმეცნიერი და სტოგადო მოღვაწე დავით გეწაძე თავის მშობლიურ სოფელში, მამა-ზაზურ ჯორკოზე მჯდომი, უდრტვინველად, დაუკვნესებლად, ჩიტივით გაფრინდა ამ ქვევნიდან და მის ახლობლებს განუსაზღვრელი სევდა დაგვიტოვა.

ამ წიგნში სტუდენტური ცხოვრების ერთ დღეზეა ლაპარაკი, დავით გეწაძეს და ლეგენდარულ ჰეტრე ჭაბუკიაშის ბაგრატის ტაძრიდან სათაფლიის გამოქაბულისაკენ მიეავს სტუდენტი- ექსკურსანტები.

დავით გეწაძის ნარკვევში იგრძნობა არა მარტო მოწიწება ჰეტრე ჭაბუკიანის ზიროვნებისადმი, არამედ საქართველოს ისტორიის და პალეონტოლოგიის ღრმა ცოდნა და ამავე დროს ზასუნისმგებლობის გრძნობა მომავალი თაობების წინაშე, რომლებიც ამ ნარკვევს წაიკითხავენ.

ომგამოვლილი მეცნიერი, რომელიც მეორე მსოფლიო ომიდან ჭრილობებით და მედლებით დაბრუნდა, მაშინვე ჩაერთო სამეცნიერო მუშაობაში და ერისთვის ისეთ სასიცოცხლო ზრობლების კვლევას მიჰყო ხელი, როგორიც გახლავთ ქართული ენა.

მე ბატონ დავითს კარგად ვიცნობდი, ჩემს უფროს მეგობრად და მასწავლებლად მიმაჩნდა. ერთად ვმუშაობდით უნივერსიტეტის ფილოლოგიურ ფაკულტეტზე და ერთად ვხელმძღვანელობდით სტუდენტთა ზედაგოგიურ ზრაქტიკას.

ჩემთვის ძვირფასი მაგალითი იუო ის გადამდები სიუვარული რომელსაც დავით გეწაძე უოველ ფეხის ნაბიჯზე ავლენდა, დიდთან თუ პატარასთან დამოკიდებულობაში. მადლობელი ვარ განგებისა, რომ საშუალება მომეცა ეს ორიოდე სიტყვა წამემდღვარებინა ძვირფასი დავით გეწაძის მსატვრულ-ზუბლიცისტური ნააზრევისადმი და ამით ერისთვის დამაშვრალი მოღვაწისადმი ჩემი ღრმა პატივისცემა დამედასტურებინა.

რევაზ მიშველაძე

რუსთაველის პრემიის ლაურეატი

## სიკეთის მადლით მირონცხებული!

არიან ადამიანები, ვისაც უფლის წეალობით საოცარი მადლი დაჰუკებათ თან,  
სიკეთის გაუხუნარი მადლი.

ასეთ ადამიანთა რიცხვს მიეკუთვნებოდა უნივერსიტეტის პროფესორი, უკელა  
სტუდენტისათვის საუვარელი და მისაბამი პიროვნება დავით გერამე, მეც მხვდა წილად  
ბედინერება მისი სტუდენტი უეოფილიავი.

დავით ოქროპირის ძე გერამე მამის სახელს ამართლებდა, თავად იუო ოქროპირი  
და სიტუადაშაქრული. ის ვისაც ერთხელ მაინც ქონია საშუალება, შეხვედროდა ბატონ  
დავითს, მოქსმინა მისი ბუბუნა ხმით წაკითხული ქართული ლექციები, დაენახა მისი  
კეთილი გადამდები ღიმილი, ვერასოდეს დაივიწეულს მას.

ბავშვობაში უოველთვის მაოცებდა ზღაპრის ერთი ეპიზოდი, დედინაცვალი გერს  
ზურის აძლევს და აფრთხილებს: წადი, გამვლელსაც აჭამე და გამომვლელსაც, შენც  
დანაურდი და შინ ისევ მთელი მოიტანეო. მერე, დიდი ხნის მერე მივხვდი -  
დედინაცვალი ცხოვრებაა, ის კუტი ზური კი კაცის გულია.

მხოლოდ დავით გერამის ნაირ კაცებს მალუმთ ამ გულის მადლითა და სითბოთი  
ამგლელიც დააპურონ, ჩამვლელიც და თავადაც არაფერი დაბკლდეთ, მუდამ მთელი და  
უხინჯი გულით იარონ.

დიახ, ცხოვრებამ არა ერთი განსაცდელი შეახვედრა, ხელმოკლეობა თუ სამამულო  
ომის ქარცეცხლი, მაგრამ მის ნათელ გონებას ამ ურთულეს გზაზე მუდამ ცოდნა  
ემატებოდა, მის გულს კი სიკეთე და მადლი.

გასაოცარი იუო ბატონი დაგითის თითქმის უფლის რწმენამდე მისული  
თაუვანისცემა ქართული მწერლობისადმი, მისთვის მართლაც “პირველად სიტუაცია იუო  
ღმერთი”.

ამ დიდი მოწიწებითა და სიუვარულითაა სავსე მისი უკელა სტრიქონი.

ამ მადლის და სინათლის მატარებელია დავით გერამის ქს ახალი წიგნიც.

მაუვალა გონაშვილი  
საქართველოს მწერლოთა კავშირის თავმჯდომარე



მოვარდი

მოვარდი!

21 სექტემბერია.

შემოდგომის მზე ცის გუმბათს ჯილად დასდგომია, დედამიწას ეალერსება და ოქროს სხივებს ჰქონის.

დარღიანი ქარი ყვითელ ფოთლებს აშრიალებს. დაფლეთილი რიონი თეთრ ლოდებს შორის უნდილად და უხალისოდ მოედინება.

ჰერში შემოდგომის ეშნიანი სუნი ტრიალებს.

მე და ჩემი სტუდენტები ბაგრატის ტაძრის გალავანში ვართ და აქაურობის პატრიარქს - პეტრე ჭაბუკიანს ველოდებით. ათი საათი დამთავრდა, თერთმეტი დაინტერესული, პეტრე ჯერ კიდევ არსად ჩანს!

ყველას გული სწყდება, რომ უმისოდ უნდა გავუდგეთ სათაფლის გზას.

პეტრე ამ კვირაში ორჯერ ვნახე. ორჯერვე დამპირდა, რომ კვირას 10 საათზე, ბაგრატის ტაძრის ეზოში მოვიდოდა, იქიდან კი ყველანი ერთად გავსწევდით სათაფლისაკენ.

— მაშ, მობრძანდებით აუცილებლად!

— იმე! სტუდენტები მზად დამახვედრე და ფეხით წავიდეთ. გზაზე ბევრი რამ შეგვხვდება საინტერესო!

— ტაძრიდან შორსაა სათაფლია?

— არა, ბატონო, 5-6 კილომეტრი თუ იქნება.

— კეთილი და პატიოსანი!

ასე დამთავრდა ჩვენი მაშინდელი მოლაპარაკება, მაგრამ... ის იყო ავიშალენით და გზას უნდა დავდგომოდით, რომ ერთხმად გაისმა ახალგაზრების ყიუინა და შეძახილები:

— მოდის, მოდის!

— პეტრე მოვიდა!

პეტრეს ხელში თხილის ჯოხი ეჭირა. ძველი, საშინაო ტუფლები ეცვა, ზურგზე აირწინალის დაცრეცილი ჩანთა ჩამოეკიდებინა.

— პეტრეს გაუმარჯოს! - შევეგებე, ხელი ჩამოვართვი

— დამაგვიანდა ხომ?

— ჩვენ ვიფიქრეთ, ალარც კი მობრძანდებოდით!

— რავა გეკადრებათ, ბატონო! მერე სიტყვა, პატიოსანი სიტყვა!? კაცი დავბერდი და ახლა დავიწყო ტყუილები?!

ახალგაზრდა ქალ-ვაჟები მოხუცს გარს შემოეხვივნენ. პეტრე იდგა მათ შორის მომღიმარი სახით და ქათქათა, თეთრი ჭალარით. ჰკითხავდნენ და პასუხობდა, ეხუმრებოდნენ და ხუმრობდა. არც განყრომას აკლებდა ხანდახან.

— აბა, დავიწყოთ! - თქვა პეტრემ და უამთა სიავისაგან დამხობილ უცხოდ ნაჩუქურთმევ ხავსიან ქვაზე ჩამოჯდა.

ყველანი დავსხედით.

მოხუცმა თოვლსავით თეთრ თმაზე ხელი გადაისვა, თხილის ჯოხი მკერდზე მიიხუტა და ძველთაძველი ამბების მოთხრობა დაიწყო.

მოხერხებული ადგილი შევარჩიე, ფანქარი მოვიმარჯვე და მისი ნალაპარაკევის ჩაწერას შევუდექი.

ჩანაწერებს დრო ფიტავს და ელვარებას უკარგავს, თუ დროზე არ მიუსწრებ, ბევრი რამ დავიწყებას ეძლევა, ფერმკრთალდება და მერე მშვიდობით — სდიე მინდორში ქარს და სძებნე თივის ზვინში ქინძისთავი.

დავბრუნდით თუ არა სათაფლიდან, კალამ-კალმისტარს მივმართე, ჩანაწერებს ცოცხალ კვალზე მივყვები და ვცდილობ, პეტრეს ნათქვამს არც არაფერი მივუმატო და არც არაფერი დავაკლო.



—ქუთაისი ყმანვილებო, ძველთაძველი ქალაქია. მისი დაარსების ისტორია შორეული საუკუნეების წყვდიადში იყარგება. ვის არ გაუვლია აქ, ვინ არ ყოფილა ჩვენი სტუმარი: თა-თარი და სპარსელი, ბერძენი და რომაელი, ყივჩალი და რუსი, ფრანგი და გერმანელი ... მო-დიოდნენ და მოდიოდნენ. ზოგი მტერი იყო, ზოგი - მოყვარე. ზოგი გვწვავდა და გვანგრევ-და, ზოგი დახმარების ხელს გვიწვდიდა.

1080 წელს ქუთაისი სელჯუკებმა გადაწვეს, გადაბუგეს, მიწასთან გაასწორეს. მაინც აღდგა და დიდხანს იყო საქართველოს დედაქალაქი. 1122 წელს დიდმა დავითმა თბილისი ირჩია და ტახტი იქ გადაიტანა. მე-13 საუკუნის მეორე ნახევრიდან ქუთაისი იმერეთის სა-ტახტო ქალაქია. მე-19 საუკუნის დასაწყისში ორთავიანმა არწივმა რიონის წყალიც და-ლია და სოლომონ მეფის ქალაქში რუსის გუბერნატორი დამკვიდრდა.

ქვეყნად მრავალი ქალაქია. ბევრი მათგანის დაარსება ამა თუ იმ დიდი პიროვნების სა-ხელთანაა დაკავშირებული, ქუთაისის ბარის დამკვრელი კი ისტორიას აღარ ახსოვს. მისი ძირი დედამიწის ბნელსა და ყრუფენებში ჩაკარგულა.

— თეთრა მიწა გაგიგონიათ? - მოულოდნელა იკითხა პეტრემ

— გაგონებით კი გაგვიგონია, მაგრამ...

— მაგრამ ცოდნით კი მის შესახებ არაფერი არ იცით, ხომ! ქუთაისის ნარმოშობის ის-ტორია აი სწორედ თეთრა მიწას უკავშირდება. აქ ცხოვრობდნენ იმ ხალხის შორეული წი-ნაპრები, ჩვენს ქალაქს რომ ჩაუყარა საფუძველი.

ქუთაისმა უდიდესი წვლილი შეიტანა ქართული კულტურის, ლიტერატურისა და ხე-ლოვნების და, საერთოდ, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა დარგის წინსვლასა და გან-ვითარებაში ქუთაისსა და მის ახლო-მახლო მიდამოებში მრავალი საყურადღებო ძეგლია დარჩენილი, უფრო მეტი კი მოსპობილია და განადგურებული... მარა რაც დარჩა, ისიც არ გიკვირთ?!

## ბეჭედის მარტი

— სადაც ახლა ჩვენა ვართ, — განაგრძობს პეტრე: — ამას თავდაპირველად ქუთაისის თუ ქუთათისის ტაძარი ერქვა. იგი აშენა ქართველთა მეფემ ბაგრატ III-მ 1003 წელს. ამი-ტომ უზოდა მას ხალხმა ბაგრატის ტაძარი. ისიც ცნობილია, რომ ტაძრის აშენებამდე ამ ად-გილას ციხე-სიმაგრე ჰქონიათ ჩვენს წინაპრებს.

ბაგრატის ტაძარი ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლია ქართული ხუროთმოძღვრები-სა. გელათი ხომ კარგი და კარგია, მაგრამ იგი აგებულია ქართული ხელოვნების კონსერ-ვაციის ხანაში, ეს ტაძარი კი ნაყოფია ქართული არქიტექტურის კლასიკური ხანისა.

ქართული ეკლესიის წინამძღვარს XVII საუკუნემდე აქ ედგა ტახტი. აქ მოდიოდნენ მლოცველები საქართველოს თითქმის ყველა კუთხიდან.

ეხვეწებოდნენ და ემუდარებოდნენ მამაზეციერს, მაგრამ ღმერთს ჩვენთვის სად ეცა-ლა?!

## ქართული ხელი

— აბა, კარგად დააკვირდით! ხედავთ? - პეტრე თავის ყავარჯენს ტაძრის კედელს უმიზნებს და რაღაც ფერდაკარგულ ლაქებზე მიგვითითებს, — აი ეს ადასტურებს, რომ ტაძარი დიდებული ფრესკებით უნდა ყოფილიყო მოხატული, მაგრამ შემდეგ ცეცხლს, წყალს, ქარსა და ნიაღვარს ყველაფერი მოუსპია. პეტრემ ახლა გარეთ გაგვიყვანა და სტუ-დენტებს ტაძრის კედელში დატანებული საკმაოდ მოზრდილი ქვა დაანახვა.

— აი, იმ ქვაზე ძველი ქართული წარწერაა, რომელიც გვამცნობს ტაძრის აშენების თა-რიღს, ქორონიკონს 223-ს, რაც ჩვენი წელთაღრიცხვით უდრის 1003 წელს.

პეტრე ქრონოლოგიამ გაიტაცა.

— იცით თუ არა თქვენ, ყმანვილებო, რომ ქართველებს წინათ თავიანთი წელთაღ-რიცხვა ჰქონდათ?! ეს პატარა საქმე არაა!

ახლა ანბანი?!

რა სჯობია ქართულ ანბანს!

ამისთანა ანბანი დედამიწის ზურგზე არავის მოუგონებია. მსოფლიოში სულ რამდე-ნიმე ანბანია, ერთიმათგანი ქართულია და ისიც ყველაზე საუკეთესო! განა საამაყო არა?


აი, მოისურვებს ქართველი კაცი და, როგორც იტყვის და იფიქრებს, ისე დაწერს. მოდ-გება მერედა, რასაც თვალით ამოიკითხავს, ენითაც იმას ჩააბულებულებს.

ვნახოთ ახლა ინგლისელი: ლაპარაკობს ერთს, წერს მეორეს. ნამდვილად იტანჯება! მთელ თავის სიცოცხლეს ანდომებს ანბანის სწავლას და ისე წავა ამ საიქიოს, ყველა სიტ-ყვის დაწერა არც კი ეცოდინება.

„ქართველებმა ისეთი ანბანი მოიგონეს, თავიანთ ენას რომ მოუხდებოდა. ევროპე-ლებმა კი ფინიკიელებს მოჰპარეს ასოები და თავიანთ ენებს ძლივსძლივობით მოარგეს. მოარგეს, მარა ვაი მისთანა მორგებას: ზოგი სიტყვა ნაწერში არ ეტევა და ზოგი ნაწერი ისე დიდია, რომ შიგ ფეტვის კაკალივით იკარგება სიტყვაც და სათქმელიც.

დაილოცოს ჩვენი ქართული ანბანი!

პეტრე უსლარი გსმენიათ? დიდი ენათმეცნიერი იყო, იმან თქვა “თუ სადმე სამართა-ლია, მთელი კავკასია ქართულ ანბანზე უნდა წერდესო!“ ჭკვიანი კაცი იყო მარა ვინ გაუ-გონა?!



—და, აი, აშენდა ბაგრატის ტაძარი. საიდან არ მოდიოდნენ მის სანახავად! ყველას სურდა საკუთარი თვალით ენახა კაცის მარჯვენით შექმნილი სასწაული. XIII საუკუნეში აქ თურმე ერთ განსწავლულ არაბსაც გამოუვლია. ისე მოწონებია ჩვენი ტაძარი, რომ მის სა-დიდებლად მშვენიერი ლექსი დაუწერია. მერე უთხოვია ტაძრის წინამძღვრისათვის, რომ ეს ლექსი ქვაზე ამოეკვეთათ და კედელში ჩაესვათ. მისი თხოვნა შეუწყნარებიათ და არაპი პოეტის ლექსი თურმე დიდხანს იყო ქრისტიანულ ტაძარში. თქვენ გებულობთ თუ არა, რამხელა საქმეა ეს?

—რა, პატივცემულო პეტრე? - თავის მხრივ ეკითხებიან სტუდენტები.

მოხუცმა თვალები მოჭუტა და შუბლი შეიჭმუხნა.

—რა და ურჯულოს ნაწერი რომ ჩასვეს ქართული ეკლესის კედელში! იმ დროს მთე-ლი ევროპა „კუდიანების“ ძებნა-დევნით იყო აწრიალებული. ურნმუნოებს ცოცხლად ატ-ყავებდნენ და დღისისთ-მზისით წვავდნენ კოცონებზე. ინდოს და არაპს ვინ გაიკარებდა ახლოს?!

მაშინდელ ქართველებს კი აზრადაც არ მოსვლიათ კაცის წამება იმის გამო, რომ მის თავში სხვანაირი ფიქრები ტრიალებდა, ხოლო გულში სხვა ღმერთს ედგა ტახტი.

აი, კულტურა! აი ადამიანობა!

კაცს იმიტომ რავა უნდა მოუსპო სიცოცხლე და დაუბნელო მზე, რომ შენი ღმერთი ღმერთად არ მიაჩნია და შენი სიტყვა — უკვდავ ჭეშმარიტებად?!

ეს ხომ ველურობაა, ეს ხომ ბარბაროსობაა!

ისტორია გვიამბობს: დავით ალმაშენებელმა საქართველოში ურჯულო თათრებს მე-ჩეთი ააშენებინა და ქრისტიანულ ქვეყანაში მოლები ტურებივით გაჰკიოდნენ ალაპის სა-გალობელს.

ეს პატარა რამეა?!

აი, კაცობა! ყველას თავისი რწმენა აქვს და თავისი აზრი. რაც უნდა, ის იწამოს და, რაც გაუხარდება, ის თქვას!

ღმერთის გაჩენილთან ვის რა ხელი აქვს?!

ერევი და მიტომ ურტყამ თავში?!

სტუდენტებმა ერთხმად გადაიხარხარეს.

—რა გაცინებთ? ტყუილია?!

—არა, ბატონი პეტრე, მართალზე მართალია!

—ჰოდა, — განაგრძობს პეტრე — იმ არაპს სხვებიც მოყვნენ: რუსები და ფრანგები, ინ-გლისელები და გერმანელები.

ერთმა ფრანგმა, ბაგრატის ტაძრის დიდებული ნანგრევები რომ ნახა, თურმე გაოცე-ბულმა და აღტაცებულმა წამოიძახა:

—ეს სასწაულიაო! ეთი ჩუდი!

მთელი რომ ენახა, მაშინ რას იტყოდა?!

მაგრამ სხვა რა დაგვიტოვეს მტრებმა მთელი და დაუნგრეველი., რომ ეს ტაძარი დაე-ტოვებინათ!



— 1631 წელს ბინძურმა თურქებმა ჩვენი ტაძარი ცეცხლს მისცეს. გარედან თივა, ჩა-  
ლა და შეშა შემოუწყვეს, შიგნით კი თოფის წამლით სავსე კასრები ააფეთქეს. მიღენ-  
მოლენეს, მიანგრ-მოანგრიეს აქაურობა და თავიანთ გველის ბუდეებს მიაშურეს.

სად გაჩნდნენ ეს სისხლის მსმელები, ვინ დაგვიყენა კარის მეზობლებად, ვინ დაგ-  
ვწყევლა, ვინ შეგვაჩვენა?! მათგან დაღვრილი სისხლი ზღვას ავსებს, ხანძრების ალი ცასა  
სწვდება, მათგან დატყვევებული, სამშობლოს მოწყვეტილი, თავგზადაფანტული  
ქართველობა დღესაც უცხოდა ბედუკულმართგზებზე დახეტიალებს!

აი ასეთი იყვნენ თურქები!

პეტრეს სიტყვები აღარ ჰყოფნის მათ საგინებლად, ხავსიან ქვებს გულმოსული უცქე-  
რის და ნიკაპი უკანკალებს.

იცით თუ არა თქვენ: მესამედი საქართველო მათ საზღვრებშია, მე-სა-მე-დი საქარ-  
თველო! ოშკში და ხახულში, შატბერდში და ხანძთაში, ტაოსა და კლარჯეთში ჩვენს სინ-  
მინდეს უწმინდურები თელავენ!

და აქ განრისხებულმა პეტრემ ისეთი სახითათო ისტორიული ექსკურსები დაატრია-  
ლა, ისეთ „უცოდველ“ პიროვნებებს სწვდა ქეჩოში, რომ სტუდენტები ერთიანად აახმაურა  
და ააყაყანა:

— რას ბრძანებთ, ბატონო პეტრე, ეს მართალი არაა! როგორ იქნება, როგორ შეიძლე-  
ბა?!

— ვაი ჩვენი ბრალი! არაფერი თქვენ არ გესმით და მიტომ მსჯელობთ ასე!... არასფე-  
რი! ... არაუშავს რა, ისტორია ყველაფერს იწერს და იმახსოვრებს: საქართველოში არაერ-  
თი არმაზიდამსხვრეულა და არაერთი ქურუმი წაულია მტკვრის მღელვარე ტალღებს!




თურქებს არც რუსის მეფის დამქაშები ჩამორჩნენ: გენერლებისა და გუბერნატორე-  
ბის, პრისტავებისა და უანდარმების, უტვინო და გაუმაძღარი ჩინოვნიკების მთელი ხროვა  
მოედო თამარისა და დავითის საქართველოს. მათ თავიანთი ხალხიც სძულდათ და ფეხებ-  
ზე ეკიდათ, ქართველებს კი რა ხეირს დააყრიდნენ? 1 გულბოროტ შოვინისტებს სასაცი-  
ლოდაც არ ჰყოფნიდათ ჩვენი ძველი დიდება. ქართველები ვინ არიან, ვინა ყრიან, ეგენი  
ადამინები კი არა, გაუნათლებელი მხეცებიაო! არა, არა, არა, არა, არა, არა, არა, არა, არა, არა,

ჩვენი სვეტიცხოველი კირით შეფეთქეს: იმპერატორი მობრძანდება, ეს ჩამოქექილი,  
ჩამოძენილი ფრესკები თვალში ეკლად ეცემა, მოდი, თეთრად შევღებოთო! და ასეც მო-  
იქცნენ! წადი ახლა და ეძებე კირის საფარქვეშ დიდოსტატთა შედევრები.

— აქაც, ქუთაისში, გუბერნატორად ვიღაც გაგარინი ეგდო, გიუი, ნახევრად გიუი!

პეტრემ ისეთი მაგარი ინტონაციითა და მიმიკით წარმოთქვა სიტყვა „გიუი“, რომ იქით-აქეთ მიმოვიხედეთ, ეს გადარეული გაგარინი ამ ქვებით სავსე ნანგრევში არ შემოვარდეს-თქო!

- ჰოდა, ამ გადარეულმა ააფეთქა დასავლეთის დიდებული კარიბჭე.
- რას ერჩოდა, რა უნდოდა?! - წამოიძახეს სტუდენტებმა.
- მიდით და ჰკითხეთ! მთელი ტაძრის დანგრევა და მოსპობა უნდოდა ალბათ, მაგრამ ველარ მოესწრო: იმ მარჯვენა ცხონებულმა დადეშქელიანმა თხასავით მოაძალლა თავი!
- ხა, ხა, ხა, ხა! — გადაიხარხარეს ახალგაზრდებმა
- დიახ, თხასავით მოაძალლა ის ბოროტი თავი! - იმეორებს პეტრე რაღაც აუწერელი სიამოვნებით.



ტაძრის ნანგრევებიდან გამოვედით.

სტუდენტების ყურადღება ქვის საფლავებმა მიიპყრო.

— ესენი რაა, ძია პეტრე?

— არ იცით? მეფეთა საფლავებია. აქ უნდა ემარხოს ცბიერი, იქ - გიორგი მეფე

— ახლაც მარხიან?

— გამიგონია?! თურქებმა მოთხარეს და გაძარცვეს საფლავები, ახლა მარტო მიწა ყრია შიგ.

— რაღა ამ კარებში დაუმარხავთ ეს დიდებული ხალხი? - ჰკითხა ერთმა სტუდენტმა.

— ეგ არ იცი?

- არა, არ ვიცი ბატონო!

- ძველად ქართველ მეფეებს ასეთი წესი ქონდათ: ტაძრების, მონასტრების, ეკლესიების შესავალში უნდა დამარხულიყვნენ: ამქვეყნად ჩვენ ვმეფობდით ხალხზე, ახლა ხალხი იყოს ჩვენზე მაღლა, ხალხმა იაროს ჩვენს გულზე. მრავალ შეცოდებას, რაც სიცოცხლე-ში ჩაგვიდენია, ნაწილობრივ ამით გამოვისყიდით ღვთის წინაშეო.

— მერე და, ჩაგრული ხალხისთვის რა ნუგეში იყო ეს? - ეკითხებიან სტუდენტები.

- მერე ვინ თქვა, ჩაგრული ხალხისთვის ნუგეში და შეღავათი იყოო? ხალხისთვის ვის როდის ეცალა? ყველა მეფე, უწინარეს ყოვლისა, თავის თავზე ფიქრობდა და ზრუნავდა. მკვდრისთვის განა სულ ერთი არაა, ხალხი მის გულზე ივლის თუ მისგან ასი კილომეტრის დაშორებით?

ქვეყანაზე ბევრი რამ მოუგონებიათ ხალხის გასაბრიყვებლად და თვალის ასახვევად. ესეც ერთი მრავალთაგანი იყო!

## სარგებლობა

დროაღარ იცდის.

ბუდიონის ქუჩას დავადექით და სათაფლიისაკენ ავიღეთ გეზი.

მარჯვნივ და მარცხნივ ლამაზ-ლამაზი ეზოებია, ახალ-ახალი სახლები, ყანები და ბოსტნები, ვენახები და ხეხილის ბაღები. შორს, დასავლეთით, კოლხეთის თვალუწვდენელი დაბლობი გადაჭიმულა: ჩრდილოეთით ხვამლის მთა და კავკასიონის დიდებული კონტურები მოჩანს.

სოფლის შარაგზა.

გზაზე გამოფენილი ბავშვები.

მშვიდობიანი ცხოვრების სუნთქვა.

მშობლიური მიწის სურნელი. ქართული მზის მადლიანი სითბო.

უდარდელი ახალგაზრდობა.

ასეთი წუთები ცხოვრებაში არც ისე ხშირია.

პეტრე მხნედ მიაბიჯებს და მსუბუქად კეცავს აღმართ-დაღმართს. წინ არავის უშვებს, ბავშვივით უხარია რომ მოხუცს ჯერ კიდევ არ ღალატობს მუხლი და ძალ-ღონე. თუ რომელიმე ახალგაზრდა დაღალვას ახსენებს, იმ წუთში დაუტატანებს:

— რაო? დავიღალეთ? არ თქვა, არ გაამხილო! მე მიყურეთ, 70 წლისა ვარ და ოდნავა-დაც არ მეტყობა დაღლა. მე რომ ასე ხშირად არ დავდიოდე აქეთ-იქით, თქვენი ჭირი წალე-ბული მექნება. ჩემი ტოლ-ამხანაგებიდან თითო ოროლა კაცია კიდევ ცოცხალი.

იცით თუ არა თქვენ: მეფეები ყველაზე ადრე კვდებოდნენ, იმიტომ რომ ცოტას დადი-ოდნენ, სულ ტახტზე ისხდნენ.

— ერეკლე მეფემ ხომ დიდხანს იცოცხლა, ბატონო?


ტახტზე ჯდომას კი არა პირში ლუკმის ჩადებას არ აცლიდნენ: ახალციხიდან რომ თა-თარს მირეკავდა, დაღესტნიდან ლეკები მორბოდნენ. დილით რომ თელავში იყო, საღამოს გორში ცხენს მიაგელვებდა. არა, ერეკლე სხვა მეფეებს არ ჰგავდა.

მიდის პეტრე და სტუდენტების გუნდი სიცილ-კისკისით მიჰყვება უკან.

არაფრით არ მომეშვა, ზურაბიც წამყვა დღეს ექსკურსიაზე.

ფეხდაფეხ, თიკანივით მისდევს ბაბუა პეტრეს და შეკითხვებს ჭერებივით აყრის. და-იწყებს თუ არამოხუცილაპარაკს, გზაზედაც აღარ იყურება, მოილრეცს კისერს მანჭია ჩი-ტივით დაუსმენს სასოებით. არც იღლება და არც იქანცება.

მივდივართ და მივდივართ.



პეტრე შედგა.

თეთრამინისკენ თითო გაიშვირა და დაიწყო ისტორია.

ატყობს ერთი სტუდენტი გოგონა არ უსმენს. იგი ამხანაგს ეკისკისება და სულაც არ დაეძებს რაიყო კაინოძოურ ხანაში თეთრამინის მახლობლად.

პეტრე გაუწყრა:

— შენ ამ ჯოხს ხომ ჰქედავ! აქიმისთვის წამოგიყვანეთ რომ თავში რაიმე ჩაიდო და მე-რე ბავშვებს ასწავლო! რა ნახე ამდენი საკისკისო და სალაპარაკო?

— ბოდიში, პატივცემულო პეტრე, მაპატიეთ!

— კი, მიპატიებია... იმას მოგახსენებდით, თეთრამინაზე ჩემი ინიციატივით მოახდინეს არქეოლოგიური კვლევა-ძიება, სულ გადათხარეს იქაურობა, აღმოაჩინეს უამრავი ნივთები, კაუის იარაღები, პურის საფქვავი მოწყობილობა. ამან დაადასტურა, რომ დაახლოებით 7 ათასი წლის წინათ თეთრამინაზე უკვე ცხოვრობდა ადამიანი, თესდა პურს, ქერს, ღომსა და ფეტვს, დასდევდა ნადირებს, კლავდა მათ და მიირთმევდა, როცა მოეხასიათებოდა. ამ დროს იგი უკვე აღარ დაღოღავდა იქით-აქეთ, მოშინაურდა და ერთ ადგილას ცხოვრება დაიწყო. თეთრამინის გათხრებმა და იქ მოპოვებულმა ნივთებმა მთელი გადატრიალება მოახდინეს ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

პეტრე არ ამბობს თუ რა ხასიათის იყო ეს „გადატრიალება! რას ფიქრობდნენ ამ „გადატრიალებამდე“ ისტორიკოსები და მერე როგორ შეცვალეს თავიანთი აზრები.

ჩვენც არ ვაწუხებთ შეკითხვებით.

კითხავ და რა უნდა გიპასუხოს?

არა თუ შვიდი ათასი წლის წინათ, შვიდი წლის წინათ რა მოხდა იმას ვეღარ ვგებულობთ ხეირიანად.

ოცნება საუკუნეთა საზღვრებს სცილდება.

თეთრამინაზე ბანჯგვლიანი არსებები ჩნდებიან, ხელში ქვის ნაჯახები უჭირავთ და სანადიროდ მიეშურებიან:

მათ არ აწუხებთ არც წარსული და არც მომავალი.

მათი სადარდელი მხოლოდ კუჭია, მათი ცხოვრების ქვეცნობიერი შინაარსი - არსებობისთვის ბრძოლა.

დაშლიგინობენ უსიერ ტყეებში, მრავლდებიან კალიასავით, წყვეტენ მხეცებსაც და ერთმანეთსაც.

დედამ არ იცის შვილი, შვილმა არ იცის დედა, მამას ორივე ფეხებზე ჰკიდია!

გაუვალ ტევრებში ისმის მათი მხეცური ღრიალი, ისინი ახალ საუკუნეებს ეძახიან.

პეტრეს უსაზღვროდ ახარებს მათი ნაცოდვილარი ნივთების ნახვა.

ისტორიკოსები წერენ კაპიტალურ გამოკვლევებს კაუიანი ისრებისა და გახვრეტილი თიხის ქოთნების შესახებ.

ატომის არსენალებში კი გროვდება და გროვდება ჯოჯოხეთის მაშხალები, რომ დედამინაზე კვლავ დააბრუნოს პრეისტორია.

ეძებე მაშინ თეთრამინა და საკაუიას გამოქვაბული!

# სატერა - შემოვიდნეთ მომავალი წერილი

ზოგიერთ სტუდენტს მოუსწრია და წაუკითხავს გ. შატბერაშვილის მოთხრობა „სა-თაფლია“.

— ძიაპეტრე, თქვენშვილიშვილი გყავთ? - ეკითხება ერთი მათგანი.

— არა, არა მყავს!

— აბა, „სათაფლიაში“ რომ წერია?

— ეგ მწერლის გამონაგონია. რას იზამ, ეპატიება! განა ასეთ რამეებს იგონებენ და წე-რენ? წიგნებს ხომ კითხულობთ, ბიძია?

— კი, ბატონო, ძველსაც და ახალსაც.

— ხოდა რა გიკვირთ! მწერალს სურდა მე ბაბუად გამოვეყვანე, ბაბუა კი უშვილიშვი-ლოდ არ იქნებოდა.

— შატბერაშვილი კარგი მწერალია, — ჩავები მეც საუბარში.

— ჰო, ძალიან კარგი, ისერა! — მიდასტურებს პეტრე.

— თქვენ მას ახლოს იცნობთ?

— რას ლაპარაკობ, სულ ჩემთან არ იყო?! აბა ისე როგორ დაწერდა „სათაფლიას“. ძალიან გამოადგა ეს მოთხრობა, მგონი მესამედ დაბეჭდა ახლა.

— თუ გარგორამე მაინც?

— ვინ? შატბერაშვილმა?! არ თქვა, არ დაიჯერო! ის კი არა, ერთი წიგნიც არ გამომიგ-ზავნა საჩუქრად.

ახლა ვერა ინბერი?!

მთელი პოემა დაწერა ჩემზე და ნახევარი მიღიონი ფული აიღო, მე კი ნახევარი კაპი-კიც არ მარგო.

ამხელა კაციზარ და არ იცი? სიძუნნე — ეს ხომ მწერალთა პროფესიონალური სენია!

ჩემო პეტრე. ვაი რომ ამ ჩანაწერებს დაბეჭდვა არ უწერია, თორემ ჰონორარს მთლია-ნად შენ გაჩუქრდი!

როცა პეტრემ მწერლებზე საუბარი დაამთავრა და გავივაკეთ, რატომ დაც შრიალა, მწვანე ტყეებზე მომინდა ლაპარაკი.

— ბატონო პეტრე, ამ ადგილებში საუკუნეების წინათ ალბათ გაუვალი ტყე იყო, ახლა კი როგორ გაშიშვლებულა მიდამო!

— რაო! საუკუნეების წინათო?

— ჰო, საუკუნეების წინათ.

— რას ამბობ, კაცო! აგრე შორს რატომ მიდიხარ: ჩემს მახსოვრობაში აქ ისეთი ტყე იყო, რომ გზაკვალს ვერ გაიგნებდი.

— ნუ თუ მართლა?! — ვკითხე მე. რატომ დაც არასწორად მეჩვენა პეტრეს სიტყვები.

— სწორს და მართალს მოგახსენებთ, ბატონო. ამ მოტრეტილ ადგილზე რამდენიმე ათეული წლის წინ წინათ დიდებული კოლხური ტყე გუგუნებდა.

ესენი რომ შემოვიდნენ, მთავრობას პირველ ხანებში ტყეების დასაცავად სად ეცალა!

შეესია ხალხი და სულ ერთიანად დაუშვეს ძირს მუხა და რცხილა, ძელქვა და კოპიტი....

ახლა კი შენც ხედავ, რა დღეშია ეს მხარე.

მარა იცი, რა გითხრა: ეს სულ მეტყევეებმა ქნეს... გასაწყვეტმა მეტყევეებმა. სახალ-ხო და საქვეყნო ქონება მათ შემოსავლის წყაროთ გაიხადეს: ჰყიდეს და ჰყიდეს მარჯვნივ და მარცხნივ, რაც კი მოიხელთეს. ვინ იყო დამშლელი?!

ფეხს არ ვადგმევინებ ჩემს სათაფლიაზე ამ მტაცებლებს. იქ რომ მეტყევე დავინახო, მოვკლავ, ცოცხალს არ გავუშვებ. მე მძულს ისინი და მათაც ვძულვარმე!

ვძულდე მათ, ასე სჯობია!

პეტრეს სიტყვები გულზე მალამოდ მომეცხო.


აქ მეტყევეებს როდი ვგულისხმობ, მათი ავ-კარგის გარჩევა ჩემი საქმე არაა, ეს მათ და პეტრემ იცოდნენ!

მოხუცის გულისწყრომამ სხვა რამ მომაგონა: ვაჟკაცობაა არ მალავდე სიძულვილს მისგან, ვინც შენ გძულს და თვალით არ დაგენახვება.

ეს ყველას როდი შეუძლია.

ზოგი ცდილობს, არა მარტო კეთილთათვის, არამედ ბოროტი და გარეწარი ხალხის-თვისაც სათნო და საყვარელი იყოს.

ვაჟკაცს ბოროტა სიძულვილისა არ უნდა ეშინოდეს!



მინდორი ყვავილებს დაეფარა.

მწვანედ მობიბინე მდელოს ლურჯი და წითელი ყვავილებიც ამშვენებდა.

იქვე მახლობლად, კორდზე, საქონლის ჯოგი გაშლილიყო და ძოვნა - ძოვნით მოდიოდა.

— ხედავ ამ სილამაზეს?! აი პოეზია! მაგრამ ვაი, რომ ცხოვრება და პოეზია ერთმანეთს ვერ ეგუება: ამ მშვენიერ ყვავილებს საქონელი უახლოვდება. მოვა ხვადაგი და ძირფესვიანად ამოთხრის მათ, გადაიბალახებს, გაძლება, დაყრის ნაკელს და მოშორდება აქაურობას!

როგორი ნათქვამია:

„მოვა ხვადაგი და ძირფესვიანად ამოთხრის ლამაზ ყვავილებს!“

„ცხოვრება და პოეზია ერთმანეთს ვერ ეგუება!“

განა ტყუილია?

ლამაზი ყვავილები ხვადაგების ხვედრია და ცხოვრება ფოლადის მარწუხებით ხშირად წელში წყვეტს პოეზიას.

პირიქით კი არასოდეს არ ხდება!

# როცა აუ მინდვალა?

სანამ ჩამორჩენილები წამოგვეწეოდნენ, ცოტა შევისვენეთ. როცა თანამგზავრები მოვიდნენ, გვერდით მოგვისხდნენ. ბუნებრივად ისე მოეწყო საქმე, რომ რაიმე საინტერესო ამბის მოთხოვას არაფერი აჯობებდა.

პეტრემ აღარ დააყოვნა.

— ეს ამბავი, — დაიწყო მან: — ჩემს ყმანვილკაცობაში მაქვს გაგონილი. ამ ტრიალ მინდორზე, რომელსაც ახლა ნასახლარსაც ვეღარ დაუძახებს კაცი, ერთ დროს ცხოვრობდა სახელგანთქმული თავადი სეხნია ლორთქიფანიძე.

სეხნიას ჰყავდა ერთადერთი შვილი, შეხედულობით, ჭკუა-გონებითა და გაზრდილობით სამაგალითო ვაჟკაცი. მისდა საუბედუროდ, სეხნიას შვილს შეუყვარდა იმერეთის მეფის მშვენიერი ასული. ქალსაც თურმე ძალიან შეჰყვარებია ჭაბუკი, მაგრამ საქმე მაინც თავს არ მოსულა: მეფის ასული დანიშნული ჰყოლია სამეგრელოს მთავარს, დადიანს. ისინი მალე დაქორწინებულან და დიდი ზეიმით წასულან სამეგრელოში.

სატრფოს გათხოვების შემდეგ ვაჟი აუნერელ სადარდელში ჩავარდნილა, სიცოცხლე მობეზრებია და რომ მომკვდარიყო თურმე, აღარ ენალვლებოდა.

— აი, იმ შენობებს ხომ ხედავთ? — თითო სამხრეთ - აღმოსავლეთისკენ გაიშვირა, — ის გელათის მონასტერია. ჭაბუკი ბავშვობიდანვე ზღაპრულ და საოცნებო ადგილად თვლიდა თურმე გელათს. ახლა, როცა ბედმა უმუხოლა, ისევ გელათი გახდა მისი იმედი და ნუგეში. მიატოვა მამის სახლობადა გელათში ბერად აღიკვეცა.

მამამისი სეხნია, ამ ამბავს ძლიერ შეუწუხებია, ხუმრობა ხომ არაა: ერთადერთი ვაჟი ჰყავდა, გვარის გამგრძელებელი, ისიც დაეკარგა და ბერის შავი კაბით შეიმოსა. სეხნია მრისხანე და ავი კაცი ყოფილა. შვილი იმდღიდანვე მკვდრად ჩაუთვლია და ბედს შერიგებია. სამღვდელოება თეთრიც და შავიც ისე შესძულებია, რომ სასულიერო პირების დანახვას ვეღარ იტანდა თურმე. ლომივით ბორგავდა და გული მათ მოსაკლავად უწევდა.

განვლოხანმა, ბერად ალკვეცილი ლორთქიფანიძე ისე დაწინაურდა რომ გელათის წინამძღვარი გახდა.

იმ ხანებში გელათის მონასტრის ახლოს მონოზნებიც ცხოვრობდნენ. ერთ დღეს წასულან ისინი და სეხნიას ადგილში ფიჩხი უგროვებიათ. სეხნია შემთხვევით წაწყდომია მათ თავს და ეს შავოსანი დედაკაცები სულ წივილ-კივილით უფრენია წინ. მონოზნებს გელათის მონასტრის წინამძღვართან უჩივლიათ.

წამოსულა შვილი მამასთან და მაგრად შელაპარაკებია:

— როგორ გაბედე, რომ ღვთის ადამიანებს ტყეში გამხმარი ფიჩხის აკრეფა დაუშალე? წყევლისა და შერისხვის ღირსი ხარ, ხალხში გავლა უნდა გრცხვენოდესო!

განრისხებულა სეხნია:

წყალმა ზიდოს შენი მღვდლებიც და ბერებიც! — უთქვამს შვილისათვის, გამოუტაცია კვერთხი ხელიდან, დაუკრავს თავში და იქვე უსულოდ დაუგდია.

დაუძახა თურმე მსახურებს და უბრძანა:

— ღვლეჭით გამოაბით ცხენს უკან, ოღასკურის ღელემდე მიათრიეთ და ხრამში გადაგდეთო!

მსახურებმა მისი პრძანება შეასრულეს, მაგრამ შუაგზაზე ღვლეჭი გაუწყდათ და შე-შინდნენ, ალბათ ღმერთი გვრისხავსო, დაბრუნდნენ სეხნიასთან და მოახსენეს ეს ამბავი სეხნიას უთქვამს:

— ალბათ ღვთის ნებაა, სადაც გაწყდა ღვლეჭი, ისიც იქ დაიმარხოსო. გასჭერით მიწა და დამარხეთო!

საცოდავი კაცი იმ ტრიალ ადგილზე დაუმარხავთ.

გავიდა ხანი, სეხნიას მრისხანებამ გადაუარა და მის ნაცვლად შავნალვლიანობა ენ-ვია. დღედაღამე ფიქრისა და სინანულის მეტს არაფერს აკეთებდა, დადუმდა და დამუნჯდა. ზეზეურად ხმებოდა კაცი. არ ჰქონდა მიზეზი? ჯერ იყო და შვილი მოკლა, მერე - გე-ლათის წინამძღვარი. დარდში და ვარამში ჩავარდნილმა შვილის მივიწყებულ სამარეზე დიდებული სამლოცველო ააგებინა.

წყალსა და პურზე დამდგარი, გაველურებული, ნახევრად შეშლილი შვილის საფლავს აღარ შორდებოდა, კაცს ახლოს არ იკარებდა. ასე ტანჯვით და წვალებით დალია სეხნიამ სული.

განვლეს წლებმა. ლორთქიფანიძეების ჩამომავალნი ამ ადგილებიდან აიყარნენ. აი, აქ, ჩემს მახსოვრობაში, დიდებული ყანები, ბალები და ვენახები იყო გაშლილი. ახლა რა-ლა? გაშიშვლებული მინდორი და თხებისა და ძროხების საძოვარი.

სულ ბოლომდე აქაურობას უზარმაზარი მუხა შერჩა. სანამ ხალხში წარსულის ხათრი და რიდი იყო, იმას ხელს არავინ ახლებდა, მერე, როცა ქვეყანამ აიშვა, იმ მუხასაც ძირი გა-მოუთხარეს და წააქციეს.

ახლა რაღა მოგაგონებთ, რომ აქ ოდესლაც იდგა სახლები, ბეღლები, ნალიები, რომ აქაც ცხოვრობდნენ, ხარობდნენ და წუხდნენ ადამიანები?

ასეთია, ბიძია, წუთისოფელი:

მართალი იყო პეტრე. აღარსად ჩანდა ნიშანწყალი იმისა, რომ აქ ადამიანთა ცხოვრე-ბა მოეგონებინა კაცისათვის.

კოლმეურნეობის დაუხურავი ფერმა იდგა დაბლობში მხოლოდ.

იმ ადგილას კი, სადაც სეხნიას აგებული სამლოცველო უნდა მდგარიყო, წითელი მოზვერი ბლაოდა და რქებით მიწას ხნავდა.

ასეთია წუთისოფელი!



შეუმჩნევლად მოშუადღევდა.

ხალისით გავიარეთ ხშირი ფოთლოვანი ტყე და პირისპირ მივადექით სათაფლის გა-მოქვაბულს - პეტრეს სამეფოს დარეზიდენციას.

ჭაბუკიანს 1933 წელს უნახავს ეს გამოქვაბული. მთავრობის დახმარებით მისი მიდა-მოები საიმედოდ შემოუღობავს, ტყისათვის გაზრდის საშუალება მიუცია, იქაურობა გა-ტიალებისაგან გადაურჩენია.

1935 წელს დინოზავრთა ნაკლვალევიც აღმოაჩინა, რამაც ძეძვებსა და შამბნარში ჩა-

კარგულ სათაფლიას საქვეყნო სახელი მოუპოვა.

იმ დროიდან პეტრეს აღარც სახლი ახსოვს და აღარც ეზო. მთელი მისი სიცოცხლე ამ ადგილებთანაა შეზრდილი და შეხმატკბილებული.

— ერთ წელს თუ გაძლებ ისე, აქაურობა რომ არ ნახო? - ვეკითხები მოხუცებულს.

— ერთ წელსო? რომ დამაბან ერთ კვირას ვერ გავძლებ აქ ამოუსვლელი! - ისეთი ტონით ამბობს პეტრე რომ ურნმუნო თომასაც კი დააჯერებს.

70 წლის ბერიკაცი 20 წლის ჭაბუკივით ოცნებობს:

გამოქვაბულში ელექტროსინათლის გაყვანაზე:

— ღმერთო, შენ მომასწარი იმ უფსკრულებში რომ სიამიანად გაიაროს კაცმა და ბუნების დიდებული ნაოსტატევი ნათლად, მკაფიოდ დაინახოს!

ძელქვების მოშენებაზე:

— სკეპტიკოსები ამბობდნენ, საქართველოში ძელქვის ჯიში გადაშენების გზაზეა, ვერსად ველარ იხარებსო, მოვიდნენ ახლა და ნახონ, როგორ იზრდებიან ჩემი პატარა ძელქვები!

დინოზავრების ნაკვალევთან მონუმენტური პავილიონის აგებაზე:

— ბულდოზერებს მოვიყვან, ერთ ჰექტარ მიწას კიდევ გადავთხრი, ნაკვალევს უამრავს ვიპოვი. მერმე ლამაზ ბურჯებს ამოვაშენებთ, მთელ ფართობს მინით გადავხურავთ. ხალხი მოვა, აქაურობას ნახავს, ცოდნას შეიძენს, გონებას გაინათლებს და, ცოცხალი რომ აღარ ვიქნები, იმ ქვეყნად შენდობას შემომითვლიან!

წელს ასფალტი თითქმის გამოქვაბულის კარამდე მიუყვანიათ, პეტრეს სიხარულს საზღვარი აღარა აქვს:

— ქვეყნის ყოველი კუთხიდან მოდიოდნენ დინოზავრთა ნაკვალევის სანახავად, მაგრამ ცუდი გზები ძლიერ გვიშლიდა ხელს. ამიერიდან კი ტურისტებსა და ექსკურსანტებს მოსვლა აღარ დაეზარებათ: თავისუფლად მოაქროლებენ მანქანებს, აქაურობას ნახავენ, დაისვენებენ და კმაყოფილნი გაუდგებიან უკან თავიანთ გზას!

ასე გგონია, რომ ამ უზარმაზარ ფართობზე ფოთოლიც არ შეირჩევა პეტრეს ზრუნვის გარეშე. კენჭირაა, ერთი პატარა კენჭიც კი არ გრძნობს თავს ობლად და უპატრონოდ.

ამას ქვია ვაჟკაცური სიყვარული.

მე მჯერა, რომ ასეთი უანგარო, თავდადებული, ვაჟკაცური სიყვარულია აკვნის დამრნევი დედა—ბაგრატის ტაძრისა და გელათის მონასტრისა, მონამეთისა და სვეტიცხოვლისა, გორისციხისა და ვარძისა. ასეთმა სიყვარულმა, იმედმა, ნუგეშმა და ოცნებამ შექმნა „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება“, „ვეფხისტყაოსანი“, „დავითიანი“... მისი კარგი შვილების უსაზღვრო სიყვარულმა იხსნა და აღადგინა თვით საქართველო! თუნდაც სულ მცირე, სასარგებლო საქმის მამაკაცური სიყვარული აკვანია ჩვენი დიდი მომავლისა!

# მობილური ხაზები

ახალგაყვანილ გზაზე ჭრელი ხალხი ირევა და ფუსტუსებს. არის ერთი გაძახი-გამოძახილი, სიცილ-ხარხარი და უდარდელი ტურისტული ურიამული.

გზის ხელმარცხნივ შიშველი ფერდობია.

პეტრემ ამ ფერდობზე აგვიყვანა.

— აბა, დაბრძანდით და გაჩუმდით! - მოგვმართა მან და მიწაყრილზე მუხლი მოიკეცა.

— ჯერ გიამბობთ, რაშია საქმე და მერე ფეხი-ფეხ დაგატარებთ ყველაფერს.

— კარგი, აგრე იყოს! — კვერს უკრავენ სტუდენტები.

— პალეონტოლოგია გისწავლიათ? - ეკითხება მათ პეტრე.

სტუდენტებმა ერთმანეთს გადახედეს და გაეცინათ.

— არა, არ გვისწავლია.

— გეოლოგია იცით?

— არა, არ ვიცით.

— ყოჩაღ, თქვენ! პალეონტოლოგია და გეოლოგია თუ არ იცით, აბა რა ნასწავლი ხალხი ხართ? რა განათლება გექნებათ? პალეონტოლოგია დიდებული მეცნიერებაა. მე, სიმართლე რომ ვთქვა, მან ამიხილა თვალი და ცოტათი მაინც შემაჭვრეტინა ბუნების საიდუმლოებაში.

ჩვენ წინ რუხი ქვის მასიური პლატოა, ოდნავ დახრილი და დაქანებული. მის გარშემო ეკლიანი ბუჩქები და გამხმარ-გაყვითლებული სარეველა ბალახებია.

ქვის უზარმაზარ დაფაზე აქა-იქ სამთით გაშლილი შავ-შავი ნაფეხურები მოჩანს. ესე-ნი თურმე დინოზავრთა ნაკვალევია, მილიონი წლის წინათ აღბეჭდილი და გაქვავებული.

პეტრე ჯოხს დაყრდნობია და საუკუნეთა ნისლში ცურავს:

— გეოლოგია ამბობს რომ დედამიწის ქერქის გაჩენა მოხდა დაახლოებით 3-3,5 მილი-არდი წლის წიათ.

— ჰო, ჰო, ჰო! -- იძახიან განცვიფრებული ახალგაზრდები.

— პროტეროზოური ერა 510 მილიონი წლის წინათ დამთავრდა, - განაგრძობს პეტრე:

— მისი ხანგრძლიობა 600 მილიონ წელს შეადგენს. ძლიერ იშვიათად, მაგრამ მაინც პოულობენ პროტეროზოური ერის ცხოველთა ნაშთებს. ეს იმაზე მიუთითებს, რომ დედამიწაზე პირველი ცოცხალი არსებანი ცხოვრობდნენ 900, 800, 600, 700 ... მილიონი წლის წინათ.

გესმით რა უზარმაზარია ეს დრო? 900 მილიონი წელი, მილიარდი წელი! რა არის ამას-თან ისტორია ცივილიზებური ერების შექმნისა, ეგვიპტისა, პალესტინისა, რომისა და საბერძნეთისა?!

მართლაც-და რა არის, რას წარმოადგენს?! — ეთანხმებიან სტუდენტები.

— ერთ წამს, თვალის ერთ დახამხამებას, ელვის გამოკრთომას უკუნეთ ღამეში! — გაიძახის პეტრე.

— მაშინ ადამიანის სიცოცხლე რაღაა?

— ადამიანის სიცოცხლე? - პეტრეს ულვაშებში ეცინება და თვალები ეშმაკურად უციმციმებს, — თვითონ თქვენ მიპასუხეთ!

— ისე გამოდის, რომ წამის ერთი მეათასედი!

— უფრო ნაკლებიც, თუ შედარებას მივმართავთ...მაგრამ ახლა ამას თავი დავანებოთ, დინოზავრებიგაგიგონიათ?

— როგორ არა, ბატონო, ზოოლოგიაში ვისწავლეთ.

— კიდევ კაი!... დინოზავრები ცხოვრობდნენ მეზოზოურერაში. ეს ერა დაიწყო 185 მილიონი წლის წინათ, მისი დამთავრების შემდეგ გაიარა 70 მილიონმა წელიწადმა, ე.ი. ეს ერა გრძელდებოდა 115 მილიონ წელიწადს.

მეცნიერების აზრით, დინოზავრები ძლიერ გავრცელებული იყვნენ მეზოზოური ერის იურისა და ცარცის პერიოდში, ე.ი. 70-150 მილიონი წლის წინათ. ცარცის პერიოდის დასასრულს დაიწყო მათი გადაშენება. ყაზახისტანში, ყირგიზეთსა და უზბეკისტანში მთელი მთებია ნაპოვნი დინოზავრთა ძვლებისა.

— საქართველოში არსად აღმოუჩენიათ?

— ჯერ არა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ არ აღმოჩნდება. რაკი ჩვენში დინოზავრთა ნამარხები ვერ იპოვნეს, პალეონტოლოგებს გზაკვალი აებნათ და გაიძახოდნენ: კავკასიაში დინოზავრები არ ყოფილანო. მეცასე მეგონა, მაგრამ თურმე ვცდებოდი.

1935 წელს სწორედ ამ ადგილას ვიპოვე დინოზავრის 10 ნაკვალევი. ჯერ დიდხანს ვერ დავრწმუნდი, რომ საქმე მართლაც დინოზავრთა ნაფეხურებთან მქონდა. გადავქექე ასეულობით წიგნი, დავიარე მუზეუმები, ვეთათბირე ჭკვიან ხალხს და ყველაფერი მართალი გამოდგა. კალამს ხელი წამოვავლე, აქაურობა ავწერე, მთელ ქვეყანას გავაგებინე, რომ მოხდა დიდი აღმოჩენა.

— ალბათ კიდეც დაგაჯილდოვეს და ქება-დიდება შეგასხეს! - ჩაერივნენ სტუდენტები საუბარში.

პეტრე უარყოფის ნიშნად თავს აქნევს და ხმას თანდათან უმატებს.

— არ იფიქროთ, არ დაიჯეროთ! ვინ შემაქო, ვინ დამაჯილდოვა?! თბილისში ერთი ამბავი ატეხეს: სად კავკასია და სად დინოზავრიო. ჭაბუკიანს რა დაეჯერებაო! მარა არ შევშინდი, მე კარგად მესმოდა ამ აღმოჩენის მნიშვნელობაც და ჩემი ტვინის ფასიც. არაფრით არ მოვეშვი, სანამ ჩემი არ გავიტანე!

ცოდვა გატეხილი სჯობს: შევატყვე, რომ პეტრეს, ცოტა არ იყოს, თავის ქება უყვარდა. არა მწყენია, პირიქით, ეს ხაზიც რაღაცნაირ მიმზიდველობას მატებდა მის პიროვნებას.

— წავედი ქალაქში, — განაგრძობს მოხუცი: - ჩამოვიყვანე აქ თვითონ აკადემიკოსი ალექსანდრე ჯანელიძე. ბევრი ათვალიერა, აწონ-დაწონა, ათასჯერ გაზომა და მოჭრით თქვა: კიო, ნამდვილად დინოზავრის ნაკვალევია, ჩემო პეტრეო. გადამეხვია და გადამკოცნა.

იცოცხლე, თბილისში ყველას ჩამოვაყრევინე ყურები: ყველას უკან წავალებინე თავისი ნათქვამი. მარა, თქვენ წარმოიდგინეთ ახლა მოსკოვში ატყდა ერთი უბედურება: არაფრით არ იწამეს ჩემი აღმოჩენა! არ დაიჯეროთ, ქართველები ეშმაკები არიანო, ეთო - ხითრენკიй народ, გვატყუებენო, იმანივათ ნას!

მაგრამ ფაქტი ჯიუტია და საბოლოოდ მოსკოვშიაც იწამეს ჩემი აღმოჩენის ჭეშმარიტება. რავარც იქნა დაკრეს დასტური: Чавукиани прав! ჭაბუკიანი მართალიაო!

— ახლა ალბათ მთელმა მსოფლიომ იცის ეს ამბავი! — ეუბნებიან ახალგაზრდები.

— დიახაც, რომ იცის: პარიზის აკადემიას უკვე ჩაუწერია თავის შრომებში.

— ბატონო პეტრე, მსოფლიოში სხვაგან თუ არის კიდევ აღმოჩენილი დინოზავრის ნაკვალევი? - ეკითხება ერთი სტუდენტი.

— მოგახსენებთ. ამას წინათ ვიღაც ტურისტი მოვიდა აქ, რუსი იყო, მაგრამ ეტყობოდა დიდი განათლება ქონდა მიღებული. ხელში მოზრდილი წიგნი ეჭირა, სულმა წამდლია და გამოვართვი. რა ვქნა ასეთი ჩვეულება მაქვს: წიგნს რომ დავინახავ, თუ შიგ არ ჩავიხედე, მოვკვდები და ისაა.

— ზოგი სულ პირიქით არის: მოკალიდა წიგნში ნუ ჩახედებ! შენიშნა ვიღაცამ.

— მართალია, — დაუდასტურა პეტრემ, — კაცია და გუნება... ჰოდა, ვთხოვე ამ რუსს წიგნი, გადავფურცლე, გადმოვფურცლე და არ გავიხარე! დინოზავრებზე ყოფილა მთლიანად დაწერილი. იქ ეწერა, რომ დინოზავრების ნაკვალევი გარდა სათაფლიისა, აღმოჩენილი პეტონიათ იტალიაში, ბელგიაში, საფრანგეთსა და ალჟირში.

— რა კარგია მათი ნახვა!

— მერე-და ვინ განახვებს? — მოკლედ მოჭრა პეტრემ და ცხვრის ფარასავით ფეხზე წამოგვშალა. — აი, აქ დაახლოებით 100 მილიონი წლის წინათ გადაურბენია დინოზავრების ჯოგს და თავისი ნაკვალევიც დაუტოვებია. დაკვირვებით დადასტურდა, რომ სულ აღბეჭდილია 25 ინდივიდის ნაფეხური, მარა ეს რა არის! ახლა გარშემოც რომ ავიღებთ მიწას, რატომ ასზე მეტი დინოზავრის ნაკვალევი არ აღმოჩნდება!

— კი მაგრამ, ბატონო პეტრე, ამ პიტალო კლდეს ნაფეხურებიასე როგორ დააჩნდა?

— მოგახსენებთ. მაშინ როცა აქ დინოზავრების ჯოგმა გადაირბინა, ქვა-ლორდის ნაცვლად იყო თიხოვანი ცომისებური მასა, დარჩენილი ზღვის თუ ოკეანის უკუქცევის შემდეგ. მერმე და მერმე ამ ადგილს მაღლა ამოუწევია, ტალღებს ვეღარ დაუფარავს, მშრალად დაცული ნაფეხურები გამაგრებულა, განმტკიცებულა და ჩვენ დრომდე მოუღწევია.

— გასაგებია, პატივცემულო პეტრე, მაგრამ ეს რატომდა არის, რომ ზოგი ნაფეხური დიდია, ზოგი პატარა. ზოგი ახლო-ახლოსაა, ზოგი კი შორო-შორს?

— მართალი ბრძანდებით; მოგახსენებთ, რატომ არის ასე: იმ ჯოგიდან, აქ რომ გაიარა, ზოგი დინოზავრი დიდი იყო, ზოგი - პატარა; ზოგი გარბოდა, ზოგი კი ჩვეულებრივი ნაბიჯით მიდიოდა. ამითაა გამოწვეული ის სხვადასხვაობა, რაც ნაფეხურების ზომებსა და განლაგებაში შეინიშნება. ეგ კი არა და ამას დაუკვირდით კარგად! — პეტრემ ერთ მოზრდილ ამონალარზე მიგვითითა და ჯოხით შემოხაზა.

— ეს რაღა არის, ბატონო პეტრე?

— ვერ მიხვდით? ეს გახლავთ დინოზავრის კუდის ანაბეჭდი.

— მერედა როგორ გაჩნდა აქ?

— აი, როგორ, — დაიწყო პეტრემ პასუხის გაცემა და ახლა სულით ხორცამდე გადასახლდა ფანტასტიკურ სამყაროში: — უყურეთ: აქ მოდიოდა ერთი დინოზავრი, მოათრევდა რაღაც საჭმელს, - დაბეჯითებით არ შემიძლია გითხრათ, სახელდობრ რას! — ეს დაინახა მეორემ და გამოექანა წასართმევად.

დაეტაკნენ ერთმანეთს, შეიქნა სამკვდრო სასიცოცხლო ბრძოლა. მეორე დინოზავრმა შიგ გულმკერდში დააჯახა პირველს ხორკლებიანი ბეჭის თავი და დაატორტმანა. რომ არ წაქცეულიყო, პირველი დინოზავრი მთელი სიმძიმით დააწვა თავის კუდს. მე ვეღარ გეტყვით, რით დამთავრდა მათი ბრძოლა, მაგრამ ერთი მათგანის კუდის ანაბეჭდი აიაგერ, თქვენს თვალინა!

პეტრე ამ ამბავს ისეთი გატაცებით და გულდაჯერებით მოგვითხრობს, თითქოს საკუთარი თვალით ენახოს ასი მილიონი წლის წინათ მომხდარი წინკნა—გლეჯა და დაკადაკა.

ალბათ დიდები იყვნენ, დინოზავრები, ბატონო პეტრე! - გამოელაპარაკა მოხუცს ამ ტიტანური ბრძოლის სურათით მოხიბლული ერთ-ერთი გოგონა.

— დიდებიო? მაგისთანა საშინელი მხეცი არ ახსოვს დედამინას. დინოზავრის სიგრძე 10-დან 25 მეტრამდე აღწევდა. თავი ქონდა უზარმაზარი, თითქმის ორი მეტრი. კბილები ბასრი და მჭრელი. თავის ტვინი ძლიერ სუსტად ქონდათ განვითარებული. მეცნიერთა ანგარიშით, ტვინის წონა 4 ათასჯერ ნაკლები იყო სხეულის მთელ წონაზე, ამიტომ დინოზავრები მეტად უაზრო და უჭკუონი უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ეს არაა გასაკვირი: რა აზრი და ჭკუა უნდა ქონდა ასი მილიონი წლის წინ დინოზავრს, როცა ახლა, ჩვენ დროშიც კი, ზოგიერთ ადამიანს ერთი მისხალი ტვინი რა აქვს თავში?!

სწორია, მართალია! - ხარხარებენ სტუდენტები.

— ესეც უნდა ითქვას, რომ დინოზავრებს შორისაც დიდი განსხვავება იყო. სხვადას-ხვა დროს, სხვადასხვა ადგილას მათი ნაირ-ნაირი ჯიში და ჯილაგი არსებობდა. სათაფლიის დინოზავრსაც აღმოაჩნდა მთელი რიგი სპეციფიკური ნიშნები, ამიტომ უწოდეს მას *Sathaphliazaurus Tschabukianii*! — ჩაულათინურა პეტრემ და ამაყად გადმოგვხედა.

— თქვენი გვარი გამოიყენეს, ბატონო, დინოზავრის სახელად?

— რას იზამ! ასეა მიღებული. ერთი ნაცნობი თბილისიდან ხუმრობით მწერდა, იმდენი ჩიჩქნე და ჩხრიკე მაგ სათაფლიაში, სანამ შენი გვარი ხვლიკებს და ურჩხულებს არ დაარქვესო.

\* \* \*

კიდევ ბევრი რამ გვიამბო ჭალარა პეტრემ, მაგრამ ყველაფერი აქ არ დაიწერება. მისი ზოგიერთი კალამბური სიტყვა-სიტყვით ვუამბე ჩემ ძველ მეგობარს ლევან სანიკიძეს, რომელიც დიდი ხელოვნებით ყვება მათ ლხინსა და ქეიფში, ქორწილსა და ნათვლაში, მუქთა წვეულებებსა და ათმანეთიან ბანკეტებზე. მკითხველებს იმედი გქონდეთ, რომ ამ კალამბურების მოსმენისა და ჰომერული სიცილ-ხარხარის რიგი თქვენც მოგიწევთ.

ექსკურსიის დამთავრების აღსანიშნავად ბუნების წიაღში ლურჯი სუფრა გავშალეთ. დიდხანს ისმოდა ქართული ტკბილი სიმღერები, გოგონების სიცილ-კისკისი და თავგახურებული ბიჭების დარდიმანდული სადღეგრძელოები.

მზის ჩასვლისას ფეხით წამოვედით ქუთაისისაკენ.


ადრიანი შემოდგომის ნათელი და მშვიდი ღამე შუაზაზე წამოგვენია.

წინ ჩანდა ელნათურებით აგიზებული ქალაქი.

უკან-ლამის ხავერდოვან ფრთებზე დაქანაობდნენ უხსოვარი დროის ლანდები. სათაფლიის გამოქვაბულში ხვრინავდნენ დევები, ურჩხულები და დინოზავრები.

ბნელი წარსული შურიანად გასცეროდა ნათელ მომავალს.

დაწერილია 1958 წლის 21-22 სექტემბერს  
გადავწერე 1962 წლის 1-4 ნოემბერს.



პეტრე ჭაბუკიანი



შუა რივში: დავით გენაძე (მარცხნიდან მეოთხე) და პეტრე ჭაბუკიანი



შუა რიგში: პეტრე ჭაბუკიანი და დავით გენაძე (მარჯვნიდან მეორე)





A black and white portrait of a man in a suit and tie, resting his chin on his hand. He is positioned in front of a large, ornate building with arched windows, possibly a church or cathedral. The background is filled with dense handwritten text in cursive script, which appears to be a mix of notes and a narrative. The overall composition suggests a historical or academic context.

